საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მირზა მოჰამედ სადეყ მუსევი

მირზა მოჰამედ სადეყ მუსევი, XVIII ს. სპარსელი ისტორიკოსი. მან თავისი თხზულება „ქვეყნიერების დაპყრობის ისტორია“ („თარიხ-ე გითი გოშაი“) მიუძღვნა ქერიმ-ხან ზენდის მეფობის (1760–79) დროინდელ ამბებს; იგი შედარებით მშვიდობიანი მმართველი გამოდგა – ხელს უწყობდა ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებას, გლეხებს საგადასახადო შეღავათები დაუწესა, ატარებდა რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკას. მის დროს ქართლ-კახეთის სამეფოები თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო ირანის სამეფო კარისგან. ირანის ტახტის ერთ-ერთი უძლიერესი მაძიებელი, ავღანელი აზატ-ხანი ქერიმ-ხანს დიდ სირთულეს უქმნიდა. თხზულებაში ხაზგასმით არის აღწერილი დასახელებული მომენტები და მოთხრობილია ქერიმ-ხანის მიერ დიდძალი საჩუქრებით დატვირთული ელჩების გაგზავნა ერეკლესთან მის მიერ 1760 დატყვევებული აზატ-ხანის გადაცემის მოთხოვნით. 1763 მეფემ შაჰის თხოვნა შეასრულა, რითაც ქართლ-კახეთის მთლიანობა და დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განამტკიცა.

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. 2 – თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბ., 1968; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970; შ ე ნ გ ე ლ ი ა ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973.

დ. კაციტაძე